27-ს თებერვალს, № 5-6 1887 წელს.

# მწყემსი

1883-1887

მწყემსი დამატებით გამოდის თვეში ხუთჯერ, ყოველი თვის 1-ს, 10-ს, 15, 20-ს და 25-ს რიცხვებში.

გაზეთის ფასი:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ერთი წლისა გაგზავნით დაგაუგზავნელად | | | 5 მან. | |
| ნახევარი წლის | — | — | — | 3 — |
| „მწყემსი“ რუსული დამატებით | | | — | 6 — |
| ნახევარი წლით | — | — | — | 4 — |
| ცალკე რუსული დამატება წლით | | | — | 3 — |
| ნახევარი წლით | — | — | — | 2 — |

გაზეთის ფულის და ყოველ გვარი წერილების გაგზავნა შეიძლება რედაქციაში ამ ადრესით: *Въ Кваилы, Въ редакцію „Мцкемси“ (Пастырь).*

ყველა სტატიები და კორესპონდენციები, რომელნიც რედაქციაში იგზავნებიან გამოგზავნილნი დასაბეჭდავათ, უთუოდ ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ-მოწერილნი. ავტორთაგან გამოგზავნილი სტ ტიები შეიძლება ხან-დის-ხან შემოკლებით და შესწორებით დაიბეჭდონ.

სტატია, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაებრუნოს.

სტატიები მიიღებიან რუსულ ენაზედ დაწერილნიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.

## რიგია თუ არა, რომ მღვდელმა მიიღოს აღმსარებელისაგან ფული აღსარების თქმის დროს?

საერო ჟურნალ-გაზეთები ეხლა დიდ ყურადღებას აქცევენ საეკკლესიო და სასულიერო მოსამსახურე პირთა, მათ ჩვეულებას და წესებს. მოსწონთ კეთილი წესები და ჩვეულებანი და აუგებენ ზოგიერთ წესებს და ჩვეულებათა, რომელნიც ამდაბლებენ ხალხის თვალში სამღვდელოებას. სხვათა შორის, საერო წოდების ჟურნალ-გაზეთებმა ამ ბოლო დროს მიაქციეს ყურადღება ერთ ჩვეულებას, რომელიც ჩვენს სამღვდელოებაში ძლიერ გავრცელდა და მაგრად გაიდგა ფესვები. ჩვენ ვამბობთ აღმსარებლებისაგან ფულის მიცემაზე აღსარების თქმის დროს ეკკლესიაში.

საზოგადოება ვერ შერიგებია ამ ჩვეულებას და ხან-დის-ხან საერო წოდების ჟურნალ-გაზეთებში საჩივრები ისმის სამღვდელოებაზე. სამღვდელოების მაგიერ ამ ჟურნალ-გაზეთებს ისევე საერო წოდების პირნი უგებენ პასუხს და უმტკიცებენ, რომ მღვდელს უნდა რჩენა და, თუ ის ვისმეს სჭირდება, რიგია და კანონი, რომ სასყიდელი მისცეს მას. ეკკლესიის კრებული, ამბობენ იგინი, თუ იღებს საჩუქარს თავის საზრდოთ აღმსარებლისაგან, ამით არც კანონი ირღვევა და არც არაფერი წინააღმდეგობა ხდებაო...

არ გამოგვიკვლევიათ ჯერეთ, თუ რა ჩვეულება სუფევდა რუსეთის სამღვდელოებაში ძველად ამ საგნის შესახებ; დღეს რა წესიც სუფევს აღსარების თქმის დროს, ეს ყველამ კარგად ვიცით. რაიცა შეეხება საქართველოს ეკკლესიას, აქ სუფევდა მშვენიერი ჩვეულება, რომელიც დღესაც სოფლებში დარჩენილა; მაგრამ ქალაქებში და დაბებში კი სრულებით ის წესი და ჩვეულება შემოიღეს, რაც წესი და ჩვეულებაც სამღვდელოთა და ამღსარებელთა შორის სუფევს აღსარების თქმის დროს რუსეთში.

საქართველოში აი რა ჩვეულება აქვსთ მემარხულე-მაზიარებელთა და მღვდელთა. მრევლის მღვდელი იწყებს ლოცვას დიდ-მარხვის პირველ კვირიაკიდამ. ხალხი იწყებს მარხულობას და დადის ეკკლესიაზედ სალოცავად. მღვდელი აღსარებას ათქმევინებს საზიარებლად მომზადილთა პირთა. არც ერთი აღმსარებელი მღვდელს, ვინც უნდა იყოს იგი, ერთ შაურსაც არ მისცემს. მღვდელსაც და მრევლსაც სასირცხოთ მიაჩნიათ ფულზე ყურადღების მიქცევა აღსარების თქმის დროს. აღმსარებელი ეზიარება. ზიარებიდამ ორი სამი დღის შემდეგ, ან კიდევ მერე

ყველა აღმსარებელი უთუოდ აჩუქებს მღვდელს რამეს ან ფულით ან ნივთით. დედა-კაცები ხშირად მიართმევენ მოძღვარს თავის ხელნასაქმებს: წინდებს, პაიჭებს, სარტყელს, აბრეშუმის ლეკვერთხებს, შიგნივ ტანთ-საცმელს, დარაიისაგან შეკერილს და სხვათა. ეს ჩვეულება დღესაც მრავალგან არსებობს მიყრუებულ სოფლებში, სადაც მღვდელსა და მრევლს შორის კიდევ დამთენილა ძველი მამა-შვილური კავშირი. ეს ჩვეულება, ჩვენის აზრით, მშვენიერია და სასურველია, რომ იგი დაშთეს ხალხში. მაგრამ ეს ჩვეულება, სამწუხაროდ ქალაქებში და დაბებში აღარ სუფევს. იქ ეხლა სულ სხვა ჩვეულება შემოდის და ახალი ჩვეულება სპობს ამ საქებ ძველ ჩვეულებას.

დღეს მღვდელი დგას ანალოგიის გვერდით, აღმსარებელი ამბობს აღსარებას. გაათავებს თუ არა იგი აღსარებას, იტაკებს ჯიბას ხელს და იღებს იქიდამ ან ქაღალდის ფულს და ან გროშებს და სდებს ჯვარზედ, ან ანალოგიაზედ აგდებს, რომელზედაც ასვენია ხატი მაცხოვრისა, სახარება და ჯვარი, ან არა და მღვდელს უდებს ხელში. მღვდელი ართმევს, ან ჯიბაში იდებს, ან ანალოგიაზე აგროვებს ნაჩუქ ფულს. მოდის აგერ საარსარებოთ ვინმე და ხედავს, რომ ანალოგიაზე ფულები არის შეგროვილი აღმსარებელთაგან ნაჩუქარი და მეტი ღონე არა აქვს, მანაც უნდა დასდვას. დასდვას ცოტა, რცხვენია, ბევრი არა აქვს.

ეკკლესიურ ყველა წესს აქვს თავისი დიდი მნიშვნელობა. მაგრამ აღსარების წესი ყველა წესსზედ შესანიშნავია. ეს არის სამკურნალო ადგილი, სადაც სულიერად სნეულნი განიკურნებიან. აქ მოდის კაცი სულით დაუძლურებული და დაწყლულებული, სულით აღელვებული და აღშფოთებული. აღსარების შემდეგ ბრუნდება დაწყნარებული, დამშვიდებული და განკურნებული. აღსარების შემდეგ ის იწყებს სხვა ცხოვრებას და ხშირად მოხდება, რომ კაცი ცოდვილი და პირუტყვებს მიმსგავსებული საქმითა და ცხოვრებითა, შეიქმნების სრული კაცი, შემკული ყველა კეთილი თვისებაებითა. ვინ აღწერს იმ სარგებლობას და კეთილ ნაყოფს, რომელიც ხალხისათვის მოაქვს აღსარებას!..

საარსარებო ადგილას მღვდელი უნდა იღვნდეს აღმსარებელთ, როგორც სულიერი მკურნალი. იმისი აზრი და ყურადღება მთლად მიქცეული უნდა იყოს აღმსარებელის სულის მდგომარეობაზე, მისი სულის წყლულებზე. ის როგორც ხელოვნი მკურნალი ისე უნდა იკვლევდეს აღმსარებელის სულის კვეთებას და შესაფერ მალამოს უნდა ადებდეს. რა დიდი სიფრთხილე მართებს ამ დროს მღვდელს! რა დიდი გამჭრიახობა უნდა ჰქონდეს მას ამ დროს!

ფულის ანგარიშს არ უნდა ჰქონდეს ადგილი ამისთანა დიდ და ზნეობით სამკურნალო ადგილას. როდესაც მღვდლის ყურადღება მთლად მიქცეული უნდა იყოს აღმსარებელის სულის მდგომარეობაზე, როდესაც ის აღმსარებელის სულის წყლულებზე მალამოს უნდა ადებდეს და გზა დაბნეულ კაცს ჭეშმარიტ გზაზედ უნდა აყენებდეს, მაშინ რა დროს ფულის მიღებაა? რა დროს თავის სარჩოზე ზრუნვაა? ჭეშმარიტად, ჩვენვე ვამცირებთ და ვამდაბლებთ ჩვენ თავს ჩვენს სამწყსოთა თვალში. იქნება იფიქროს ვინმემ, რომ ამ ჩვეულების მოსპობით მღვდელთა შემოსავალი მოესპობათ და სარჩო მოაკლდებათ. შემცთარი აზრია. ვინც აღსარების თქმის დროს მოგცემს ფულს ის, შემდეგშიც არ დაგაკლებს საჩუქარს. და კიდევაც რომ არაფერი საჩუქარი მიიღო აღმსარებელისაგან, უმჯობესია დაიკარგოს ეს შემოსავალი. ფულის მიღება კი აღმსარებლისაგან აღსარების დროსვე, მეტად ცუდი ჩვეულებაა და ამიტომ უნდა ავიცილოთ თავიდამ იმისთანა ჩვეულებანი, რომელნიც ჩვენ გვამდაბლებენ ხალხის თვალში.

მღვ. დ. ღამბაშიძე.

---

## ბლაღოჩინებისაგან საქმის წარმოების შესახებ.

ჩვენს ვრცელს სახელმწიფოში არც ერთი უწყება და დაწესებულება არ არის, რომელშიაც რევიზიას არ უშვებოდენ მოსამსახურე პირთაგან ნაწარმოებს საქმებსა. (სოფლის სასამართლოების საქმეს ვინ უშვრება რევიზიას?). სამსაჯულოს და პოლიციის ნაწილში რევიზორი იხილავს საქმეებს და ტყობილობს: წესიერათ არის საქმეები შედგენილი, თუ არა, უთავბოლოთ ან სრულიად მიუკერებელი ხომ არ არის საქმეში საჭირო ქაღალდები, მოსამსახურე პირის ან დაწესებულების მინდობილობა დიდი ხნის შეუსრულებელი ხომ არ არის და, თუ შეუსრულებელია, რამდენი ქაღალდი და რა მიზეზით, საქმეებს შედგენილი აქვსთ კერძოობითი და საზოგადო სია თუ არა, რამდენი საქმე გათავებული და რამდენი გაუთავებელი, გათავებული საქმეები დანომრილია და ხელ-მოწერილი მწარმოებელი პირისაგან თუ არა და სხვანი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამხედრო ნაწილში, ხომ რაღა თქმა უნდა, ფიცხლად იხილვენ საქმესა. ამ წესს და წყობილებას მოკლებულია ერთი მხოლოდ სასულიერო უწყება. ჩარდახედეთ ზოგიერთი ბლაღოჩინების ნაწარმოებს საქმეებს და დარწმუნდებით, რომ მათი საქმის წარმოება საქმის წარმოებას არა ჰგავს. ეს რომ ასეა, მოვიყვან ერთ მაგალითს.

წარსულს წელში ერთი აქაური ბლაღოჩინი გარდაიცვალა და მის ადგილზედ დანიშნულ იქმნა მღვდელმთავრისაგან ახლად მღვდლად ნაკურთხი, სემინარიაში კურს შესრულებული, პირი. ამ გარდაცვალებულის საბლაღოჩინო საქმეების ჩაბარება ახალი ბლაღოჩინისადმი მე მომანდო ყოვლად-სამღვდელომ. მაგრამ ჩაბარების დროს რა ვნახეთ? გარდაცვალებულის ბლაღოჩინის წინა მოადგილის და თვითონ გარდაცვალებულის ნაწარმოები საქმეები ერთი არ იყო შედგენილი რიგიანად,—მიწერ მოწერა მისდამი მისი პირ-და-პირის უმფროსისა და სხვა-და-სხვა დაწესებულებათა სრულიად ერთს ქაღალდში იყო თავმოყრილი. ერთს ქაღალდსაც ვერ შევატყობდით, აღსრულებულია იგი, თუ არა. ისე იყო არეული ყველა ქაღალდები ერთმანერთში, რომ კაცს არ შეეძლო გაეგო, თუ რომელი ქაღალდი რომელს ეკუთვნოდა. ეს კი ძალიან საჭიროა, რადგან თვითეულს საქმეზე ცალკე უნდა იყოს შეყენებული ქაღალდი და ყოველნაირი საქმე, რომელიც მას ეკუთვნის, მას უნდა მიეკეროს. რამდენიმე ქაღალდის აღსრულების შავი სრულიად არ არის საქმეში, თუმცაღა მისი დიდ ხნოვანება ამტკიცებს, რომ იგი შესრულებული უნდა იყოს. ქაღალდების შესავალ გასავალის ჟურნალები ზოგიერთი წლისა სრულიად არ არის და რაც არის, ისიც უწესოთ და ურიგოთ არის შედგენილი.

ამ საქმეების, ანუ უკეთა ვსთქვათ, ქაღალდების წესიერებაში მოყვანას მოუნდება სამი კაცი რამდენიმე თთვეს. მაგრამ კითხვა იმაშია, რათ მოხდა ამგვარი უწესობა? ამ კითხვაზედ ორი პასუხის მიცემა შეიძლება: ერთი ის, რომ ბლაღოჩინს საქმის წარმოების წესები არ სცოდნია, მეორე ის, რომ შეიძლება კიდეც სცოდა, მაგრამ იფიქრა, მაინც არავინ არის ჩემი ნაწარმოები საქმის გამხილველი და ოღონდ მთავრობის მოთხოვნილება დავაკმაყოფილო, თორემ სულ ერთია, როგორც იქნება საქმე ნაწარმოებიო. მაგრამ შემდგომ ამ ბლაღოჩინისა რა ჰქნას ახალმა ბლაღოჩინმა? ახალ საქმეს, თუ იმან მაინც იცის საქმის წარმოება, წესიერათ წაიყვანს, მაგრამ თუ ძველს საქმეში დასჭირდა რამე ცნობის მოძებნა, მან მთელი დღე უნდა იხმაროს, რომ დაწეწილი ქაღალდები გადახჩხრიკოს და მაშინაც ნახავს იმას, რასაც ეძებს, თუ არა, ღმერთმა იცის.

რა არის საჭირო, რომ საბლაღოჩინო საქმე ისრეთს წესიერებაში იქნეს მოჰყვანილი, როგორც მოითხოვს კანონი? ამასაც ორი საშუალება აქვს: პირველი ის, რომ ის პირი, რომელსაც ბლაღოჩინის თანამდებობას ანდობენ, ორი-სამიოდე თთვე გამოიცადოს საქმის წარმოების წესებში ეპარქიის კანცელარიის საშვეულებით; მეორე ის, რომ ბლაღოჩინებს საქმის განხილვის წესი დაუწესდესთ. შეიძლება პირველი საშვალება ზოგიერთმა საბლაღოჩინო პირებმა ითაკილონ, მაგრამ, ჩემის ჰაზრით, საქმის გაფუჭებას საქმის შესწავლა სჯობია. ყველამ ვიცით, რომ არცეთ სასწავლებლებში საქმის წარმოების წესებს არ ასწავლიან, ამიტომ ყველასათვის გამოცდილებაა საჭირო, როცა ის კურს ასრულებს სწავლისას და სამსახურში შედის; არ შეიძლება ამ გვარი გამოცდილი და დახელოვანებული კაცი მისი უმფროსისათვისაც სასარგებლო არ იქმნეს, რადგან ასეთი კაცი უმფრო გაუადვილებს თავის უმფროს სამსახურს.

ბლაღოჩინი შარაბიძე.

## წერილი რედაქტორთან.

გაზეთ „ივერი“-ის მე-II №-ში მე წავიკითხე ბ. აბხაზის სტატია: ამბები რკინის გზიდამ, რომელშიაც ავტორი მოუთხრობს მკითხველებს რკინის გზაზე მოსამსახურე პირთა მდგომარეობას. ამ სტატიაში ბ. ავტორი, სხვათა შორის, ამბობს: „რკინის გზაზე ბევრჯელ ავად-მყოფი უღვდლოდ და უზიარებლად მოჰკდომიათ, დღეს კი ესენიც მართლა ქრისტიანებში გაერივნენ. საკუთარი მღვდელი დაუყენებიათ და ეკკლესიასაც მალე აიშენებენ. მათდა სასიამოვნოდ და სხვათა საგულისხმოდ, ახალ-წლიდგან რკინის გზის მთავრობამ დაჰნიშნეს მღვდელი ილარიონ ნანაბოვი, ახალ-გაზდა, გულმოდგინე და დარბაისელი ქართველი კაცი, მტკიცე და ერთგული თავის წმინდა მოვალეობისა და სხვა.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს სწორედ 16 წელიწადი სრულდება, რაც ჩვენში რკინის გზა გაიხსნა და ამ დროის განმავლობაში, ვგონებ, ას მოსამსახურე პირში ერთსაც არა ჰქონდეს მიღებული წმიდა ზიარება. ერთის სიტყვით ყველას, რომელიც რკინის გზაზე იწყებს სამსახურს, ავიწყდება მართლ-მადიდებელი სარწმუნოების მოვალეობის აღსრულება. ეს ასეც უნდა მოხდეს, რადგან აქ მოსამსახურე პირს არა აქვს მოცალეობა არც კვირა-დღესასწაულ დღეებში, არც ვნების კვირაში და არც აღდგომას. ერთი სიტყვით აქ მოსამსახურე პირნი დღე და ღამ სულ შრომაში არიან. ამ ნაირი ცხოვრებით კაცს გული უგრილდება სარწმუნოებაზე; ან როგორ უნდა იფიქრონ სარწმუნოებაზე რკინის გზის დაბალ მოსამსახურეთ, როდესაც მათი ყურადღება მხოლოდ იმაზეა მიქცეული, რომ თავის თანამდებობაში რამე შეცდომა არ მოუხდესთ და არ დაიშტრაფონ რკინის გზის გამგეობისაგან, რომელიც სასტიკ ყურადღებას აქცევს მოსამსახურე პირთა და მცირე შეცდომისათვის შტრაფავს მათ შეუბრალებლად. ბ. აბხაზი რკინის გზაზე მომხდარ უბედურებათ აწერს იმას, რომ „ჩვენი ხალხი (უმეტეს ნაწილად) კერპი, დაუდევარი და შეუპოვარია, გაქანებულს მატარებელს ანუ ვაგონს გამოეკიდება და კატასავით შეახტება ზედ.“ ვისაც რკინის გზაზე არ უმსახურნია რამოდენიმე წელიწადი, რასაკვირველია, ის ასე იფიქრებს, მაგრამ საუბედუროდ, ეს ასე არ არის. რკინის გზის მეუფროსენი ისე ჩქარობენ ყოველივე საქმის შესრულებას, როგორც ომის დროს ჯარის კაცები. რამდენჯერ მინახავს, რომ მატარაბელს ხსნიდენ ვაგონს და თან სტანციის უფროსი უყვიროდა მუშებს და აჩქარებდა მათ, რადგან სტანციაზე ცოტა ხანს რჩება მატარაბელი. საწყალს მოსამსახურეთ თან თავისი უმფროსის ეშინიათ და თან იმასაც ფიქრობენ, რომ არაფერი შეცდეთ და არ დაიშტრაფონ. საწყლები დაშტრაფვის გარდა რამდენ ლანძღვა-გინებას გაიგონებენ. თავის გამართლება მაინც შეეძლოსთ საწყლებს! ან ვისთან უნდა გაიმართლონ თავი, როდესაც მათი მეუმფროსენი სულ სხვა საქმეზე ფიქრობენ და დრო არა აქვსთ, რომ მართლ-მსაჯულებას მიაქციონ ყურადღება. ზოგი ამ ვაჟ-ბატონებთაგანი მარტო თავის დიდ ჯამაგირზედ ფიქრობენ და თუმც ხან-დის ხან მოგზაურობენ რკინის გზით, მაგრამ ვაგონიდგან ფეხს არც კი გადმოდგამენ და არც იმას ეძებენ, თუ ვის რა უჭირს და მათთან მისვლასაც ვერავინ ბედავს სათხოვნელად, რადგან გაწყრომისა ეშინია. ძალიან საჭიროა, რომ რკინის გზაზე დაბალ მოსამსახურე პირთა მდგომარეობას მიაქციონ ყურადღება. საჭიროა, რომ აქ მოსამსახურე პირთ ჰქონდესთ დანიშნული გზის გამგეობისაგან დრო მუშაობისა, ეკკლესიაში სიარულისა და წმიდა საიდუმლო ზიარების მიღებისათვის. ნუ თუ ის საზოგადოება, რომელსაც ეს გზა ეკუთვნის, არ ასრულებს ამ ქრისტიანულ მოვალეობას? შეიძლება ეს საზოგადოება ფიქრობდეს, რომ რკინის გზის მეუფროსენი ხშირად აძლევენ თავიანთ ქვეშევრდომებს თავისუფლებას საჭიროების დროს და ის კი არ იციან, რომ დაბალი მოსამსახურე პირები საჭიროების დროს თავისუფლებას ვერ შოვობენ თავის დროზე. ხშირად მოხდება, რომ მაისში თხოულობ თავისუფლებას და პასუხი ივლისში მოგდის.

ძალიან საჭიროა, რომ უმაღლესმა სასულიერო მთავრობამ ამ საქმეს ყურადღება მიაქციოს და რამე ზომა მიაღებინოს რკინის გზის საზოგადოებას, რომ ამ გზაზე მოსამსახურე პირთ სულ არ გაუგრილდეს გული სარწმუნოებაზე, რომ მათ არ დაივიწყონ მართლ-მადიდებელი ეკკლესიის წესები და ამ სახით საზოგადოებას არ მოედოს ურწმუნოება.

ბ. აფხაზი მღვდლის ნანაბოვის დანიშვნას რკინის გზაზე საკმაოდა სთვლის, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია ამაში დავეთანხმოთ ბ. ავტორს. როგორ გასწვდება ერთი მღვდელი 900 ვერსტის მანძილზე მოსამსახურე პირთ? თუმცა მ. ნანაბოვი, როგორც ბ. აფხაზი მოგვითხრობს, პატიოსანი პირი ბრძანებულა და უეჭველია თავის მოვალეობის აღსრულებისათვის შრომას არ დაზოგავს, მაგრამ შეუძლებელს კაცი ვერ შეიძლებს და მ. ნანაბოვის დანიშვნა ამ მეტად ძნელი მოვალეობის აღსასრულებლად მარტო რკინის გზის მეუფროსეების გამამართლებელ საბუთად დარჩება, ისინი იტყვიან: კანონიერად ვიქცევით, საკუთარი მოძღვარი გვყავს და მოძრავი ეკკლესიაც (ვაგონი) გვაქვსო. ამ წესების შემოღებით ბევრი არა გაკეთდება რა. დღესაც რკინის გზის ყოველ სტანციის კაბინეთში და ზალაში არიან დაკიდებული მაცხოვრის ხატები, მაგრამ ესენი ისე დაფარულნი არიან მტვერით, რომ მათ კაცი კიდეც ვერ შენიშნავს, კარგად თუ არ დააკვირდა.

ქ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## როდის და ვინ შემოიღო პირველად ზარების ხმარება ეკკლესიებში.

ღვთის-მსახურების დაწყებას ებრაელები ატყობინებდენ ერთი-ერთმანერთს საყვირის ხმით. როცა ებრაელი გაიგონებდა ამ საყვირის ხმას, გასწევდა სამლოცველო კარავში და მოისმენდა ღვთის-მსახურებას. ამავე საშუალებით იწვევდენ ებრაელებს ღვთის-მსახურების მოსასმენად იერუსალიმის ტაძარში. ესევე საშუალება უნდა ეხმარათ ქრისტიანებს პირველ საუკუნეში ღვთის მსახურებაზე შესაკრებად, მაგრამ რადგან ამ დროს ქრისტიანებს სდევნიდნენ კერპთთაყვანის მცემელნი, ამიტომ ისინი ამ საშუალებას ვერ ხმარობდენ. ქრისტიანები სადმე ფარულად იკრიბებოდნენ სალოცავად, ჩუმად ატყობინებდენ ერთი-ერთმანერთს მოამბის საშუალებით, ან წინდაწინვე ჰქონდათ შეტყობილი, თუ როდის და სად უნდა შეკრებილიყვნენ ისინი სალოცავად. მაგრამ შემდეგ დროებში, როცა ქრისტიანების საზოგადოება გადიდდა და როცა მათ მტერთა დევნისაგან მოისვენეს, შეუდგნენ ისეთი საშუალების გამოძებნას, რომლის წყალობით უფრო კარგად და ცხადათ შეეტყობინებიათ მოძმეებისათვის ღვთის მსახურების დაწყების დრო. პირველად ქრისტიანებმა გამოიგონეს შემდეგი საშუალება: ეკკლესიის კრებულის ერთი დაბალი წევრი ჩამოივლიდა ქრისტიანების ყველა ოჯახებს და ატყობინებდა ყველას ღვთის-მსახურებათა დაწყების დროს. ამ დროს მონასტრებში ღვთის მსახურების დაწყებას ატყობინებდენ ბერებს შემდეგი სახით: ერთი რომელიმე ბერი დადგებოდა მონასტრის კარებთან და ხმა მაღლა დაიყვირებდა: ალილუია. ამ ხმაზე ბერები დგებოდნენ და მიდიოდნენ ეკკლესიაში სალოცავად. ღამის ლოცვების შესასრულებლად და მოსასმენად ხმარობდენ კვერს, რომელსაც სცემდენ ფიცარზე, ანუ მონასტრის კარებზე. შემდეგ შემოიღეს მლოცველების მოსაწვევად ფიცრის სარეკელი (било). ეს სარეკელი ჰკეთდებოდა ხისაგან და სამნაირი იყო: ერთი უფრო დიდი, რომელსაც სიგრძე ჰქონდა ერთი საჟენი და სიმაღლე არშინ ნახევარი; მეორე იყო ამაზე უფრო მორჩილი; მესამე-ნაირი გაკეთებული იყო რკინის, ანუ სპილენძისაგან რკალის მზგავსად. ამ რკალს სიმაღლე ჰქონდა ხუთი-ექვსი თითის დადება, სისქე ეტლის რკალის ოდენი და ორ არშინამდე სიგძე.

რადგან ფიცრის დიდ სარეკელს დიდი ხმა უნდა ჰქონოდა, ამიტომ ამ გვარ სარეკელს აკეთებდენ ჭანდრის ხისაგან. ის კაცი, რომელსაც რეკა ჰქონდა მინდობილი, სცემდა ფიცრის სარეკზე ხის პატარა და ვიწრო ფიცარს, რომელიც მარცხენა ხელში ეკავა. ხან ამ პატარა ფიცარზე და ხის სარეკზე სცემდა კვერს, რომელიც ეჭირა მარჯვენა ხელში. ამ სახით უფრო შორს გაისმოდა ხმა. რომში დღესაც ვნების კვირაში ზარებით არ რეკავენ, არამედ ფიცარზე რაკუნით იწვევენ ღვთის მსახურებაზე ხალხს.

სპილენძის და დიდი ხის სარეკელი ჩამოკიდებული იყო დიდ და მდიდარ ეკკლესიებთან. ამათ ჩამოსაკიდებლად აკეთებდენ განსაკუთრებით კოშკებს, ანუ ჰკიდებდენ მათ სვეტებზე, რომლებიც ზემოდამ ხშირად დახურულნი იყვნენ.

მონასტრებიდამ სოფლის ეკკლესიებზედაც შემოიღეს ამგვარი ხის სარეკლების ხმარება. კონსტანტინე დიდის შემდეგ ზოგიერთ ეკკლესიებში შემოიღეს საყვირები ანუ ბუკები *), მაგრამ ეს ბუკები მალე გამოვიდა ხმარებისაგან. სოფლის ეკკლესიებზე შემოიღეს მხოლოდ დიდი ფიცრის სარეკელი, რომელიც დიდ ხანს დარჩა ხმარებაში.

რუსეთში ქრისტიანობის მიღების შემდეგ მლოცველების შესაკრებლად ტაძრებში ხმარობდენ ზემოთ აღნიშნულ სარეკლებს, მაგრამ რადგან რუსეთში ძვირი იყო ისეთი ხე, რომელსაც კაი ხმა ჰქონოდა, ამიტომ უფრო ხმარებაში იყო რკინის ანუ სპილენძის სარეკელი. ესენი იყვნენ რკინის ანუ სპილენძის ფიცრები, რომლებზედაც სცემდენ კვერს ანუ ქვას.

აი ამ გვარი საშუალებაებით იწვევდენ ქრისტიანებს ეკკლესიაზე ღვთის მსახურების მოსასმენად უწინდელს დროში.

ეკკლესიებზე ზარების ხმარება მორწმუნეთა შესაკრებელად თავდა პირველად შემოიღეს დასავლეთ ევროპაში. რომაელნი ხმარობდენ პატარა ზარებს მოსამსახურეების დასაძახებლად, ამავე ზარების საშუალებით აღვიძებდენ მოსამსახურეებს და ანიშნებდენ, რომ მუშაობას შესდგომოდენ.

ეკკლესიების ზარების შემოღებას და მათ ჩამოსხმას ზეპირ-გადმოცემა აწერს წმ. პავლინს, იტალიელ ეპისკოპოსს. ზეპირ გადმოცემით ეს მომხდარა 400 წელში ქრისტეს შემდეგ.

(გაგრძელება იქნება).

---

*) ჩვენ საქართველოს ბევრს ეკკლესიებში დღესაც მოიპოვებიან ეს ბუკები. ამ ბუკების საშუალებით უყრიდენ და ალაგ დღესაც უყრიან თავს ხალხს რომელიმე მოულოდნელი შემთხვევისაგამო. აღდგომის მთელ ღამეს უკრავდენ ბუკს. ბუკს უკრავდენ ეკლესიის გარს შემოვლის დროსაც. ყველას არ შეეძლო და არც დღეს შეუძლია ბუკის დაკვრა: ეს ხელობა დაჩემებული ჰქონდა და აქვს რომელიმე გვარს და მხოლოდ მას შეუძლია ბუკის დაჭკვრა. ამ კაცებს ეძახიან მებუკეებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## როდის მიიღეს კოლხთა იესო ქრისტეს სარწმუნოება და პირველად ვინ დარგო იგი სარწმუნოებ-ს მათ ქვეყანაში.

თხზულება მ. დოხ-ჟოზეფ-მარი-ზამპისა. *)

(ფრანგულიდამ).

### თავი IV.

ბერებზედ და მოლოზნებზედ.

გარდა ეპისკოპოზებისა კიდევ არიან ერთგვარნი სასულიერო მთავარნი, რომლებსაც უწოდებენ წინამძღვართ და რომელთაც თითქმის ჩვენი აბბატების ხარისხი აქვსთ; იმათ თავიანთი საკუთარი ეკკლესიები აქვსთ, მდიდრები არიან და ეპისკოპოზებივით სცხოვრობენ.

რაც შეეხება ბერებს, აქ მხოლოდ წ. ვასილის საზოგადოების ბერები არიან, რომელნიც, როგორც ამბობს ჟერომი, ოდესმე სამ რიგად იყოფოდენ: პირველი რიგის ბერები სცხოვრებდენ ერთად, როგორც ეხლანდელი ჩვენი ბერები; მეორე რიგის ბერები იწოდებოდენ ანახორეტებად და ისინი სცხოვრებდნენ უდაბნოში და ილოცვიდნენ; მესამე რიგის ბერებს ეკუთვნოდენ ისინი, რომელნიც სცხოვრებდნენ სოფლებში ორ-ორი ან სამ-სამი ერთად და ერთად საზრდოებდნენ იმითი, რასაც თავიანთი შრომით შოულობდნენ.

ბერები, რომელნიც ეხლა სამეგრელოში არიან, მესამე რიგის ბერებს ეკუთვნიან. იგინ მოდიან ათონის მთიდამ, ვითომ შესაწირავის მოსაგროებლად იერუსალიმის სასარგებლოდ. იგინი ბინავდებიან ამ ქვეყანაში და იმყოფებიან მთავრის მფარველობის ქვეშ, რომელიც აძლევს მათ ერთ-ერთ თავის საკუთარ ეკკლესიას. ზოგი ამ ბერებთაგანი ბინავდებიან ერთი ქართველი ბერის სახლში, რომელსაც უწოდებენ ნიკიფორ ირბაშს, ანუ ნიკოლოოზ ბერს. იგი არის ქართველთ წარჩინებული გვარიდგან, კაცი სამოც დაათი წლისა; მას აქვს არქიმანდრიტობის ანუ აბბატობის ხარისხი და უწოდებენ მას ჯვარის მამად. ხალხი დიდ პატივსა სცემს მ. ნიკიფორეს. სამეგრელოს მთავართ ვეზირადა ჰყავთ იგი და ელჩად ჰგზავნიან ხოლმე, რადგან ამ ბერს ძრიელ კარგად ესმის პოლიტიკა. იგი რამდენჯერმე ყოფილა იერუსალიმში. მას მთელი ევროპა მოუვლია, ყოფილა ისპანიაში, საფრანგეთში, ინგლისში, პოლშაში, იტალიაში, სადაც ჩვენ მამებს მიუციათ მისთვის ბინა. მან ქართულისა და მეგრულის გარდა რამდენიმე სხვა ენა იცის კიდევ, სახელდობრ: ბერძნული, ოსმალური, არაბული, რუსული, ფრანგული, ისპანიური და იტალიური. მას მიუღია კათოლიკთ სარწმუნოება ურბან VIII-ს ხელში. იგი ძალიან პატივსა სცემს ჩვენ მ. მ.-ბს.

აქაური ბერები არასოდეს არა სჭამენ ხორცს. მათ აცვიათ მუქი შალის ტანისამოსი; წვერს და თმას გრძელს ატარებენ. ძრიელ წმიდად ინახავენ მარხვებს და ლოცულობენ ყოველთვის. საწყალი ხალხის კეთილ დღეობაზე სრულებით არა ზრუნვენ: იშვიათად სწირავენ ხოლმე მათთვის, რადგან ხალხს დიდი საწირავის მიცემა არ შეუძლია და ბერები უფულოდ არა სწირავენ.

მეგრელები თავიანთ ნათესავებს ამგვარად შეაყენებენ ხოლმე ბერად: თავზედ დახურავენ, როდესაც ჯერ ისევ ბავშვები არიან იგინი, შავ კალფაკს, რომელიც ყურებსაც უფარავს მათ, და ეტყვიან: ხორცი არ უნდა სჭამოთ, რადგან ბერები ხართო; იგინიც უნებლიეთ ასრულებენ ამას, რადგან არ იციან, თუ რა არის ბერი. შემდეგში მშობლები თავიანთ შვილებს, ბერად წოდებულებს სხვა ბერებს აძლევენ აღსაზრდელად. რომელ ყმაწვილებსაც ბერძნის ბერებს აძლევენ აღსაზრდელად, იგინი უფრო კარგად იზრდებიან.

მოლოზანნი სხვა-და-სხვა გვარნი არიან: ზოგნი არიან ქალწულნი ქალნი, რომელთ არა ჰსურთ გათხოვება, თუმცა ასაკში არიან მოსულნი; ზოგი არიან მოახლენი, რომელნიც ბატონის სიკვდილის შემდეგ მოლოზნებად შემდგარან თავიანთ ქალ-ბატონებთან ერთად, ზოგნი არიან ქვრივნი, რომელთაც გათხოვება აღარ მოუწადინებიათ; ზოგნი ისეთი დედა-კაცნი არიან, რომელთ უკვე ნამეტნავად უგემებიათ ცხოვრება და, როცა ხანში შესულან, თავი დაუნებებიათ ამ გვარი ცხოვრებისათვის. ზოგნი არიან განშორებულნი მეუღლენი, როგორც იყო თამარი, მშვენიერი დედოფალი, რომელსაც გაეყარა იმერეთის მეფე, რომ მას შეერთო თეიმურაზ-ხანის ქალი; ზოგნი სიღარიბისაგან დგებიან მოლოზნად. ეს უკანასკნელნი თხოულობენ ეკკლესიებში მოწყალებას და ხალხიც აძლევს მათ შემწეობას, რადგან პატივსა სცემს მათ ტანისამოსს. მოლოზნები შავებში არიან ჩაცმულნი

*) იხ. „მწყემსი“, № 4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და თავზედ იმავე ფერის ლეჩაქი ახვევიათ. ხორცს არასოდეს არა ჰსჭამენ. იგინი არა სცხოვრობენ ჩაკეტილში, არამედ დადიან ყველგან, სადაც კი ჰსურთ. მოლოზნებს ადვილად შეუძლიათ დატოვონ მოლოზნობა, როცა ჰსურსთ.

ვ. ბარნოვი.

(შემდეგი იქნება).

---

## საისტორიო მასალა.

### გენ. ლ. კნორრინგისაგან მეფე სოლომონისადმი, 3-ს ივნისიდგან 1802 წელსა.

პატივი მქონდა მიღებად თქვენის დიდებულების დიდად პატივ-საცემი წერილისა წასრული მაისის 17-იდგან, სახლთ-უხუცესი თავადი ზურაბ წერეთლის და სხვათა ხელით გამოგზავნილი, მისი იმპერატორებითი დიდებულების, ჩემი ყოვლად მოწყალე ხელმწიფე იმპერატორის წინაშე ჩემ მიერ შუამავლობის თაობაზედ, შესახებ მისა, რომ უბრწყინვალესი მეფისწულები, თქვენის დიდებულების ბიძები აყვანილ იქმნენ თავ-თავის უფლებათა ზედა. ვალად ვსთვლი, მოვახსენო თქვენს დიდებულებას, რომ მისმა იმპერატორებითი დიდებულებამ, მიიღო რა მტკიცე განძრახვა თვით მართველობისა საქართველოს ხალხებზედ, უმისოთაც ძლიერ ვრცელი სრულიად რუსეთის იმპერიის საზღვართა გავრცელებისათვის კი არა, არამედ მხოლოდ კეთილ-დღეობისთვის ამა ქვეყნისა, აქამომდე აღშფოთებულის შინაური ამბოხებით და წამებულის თვისი გარეშე მტრებისაგან, რომლებმაც დაუახლოვეს ის სრულიად დამხობას, მაგრამ ამისაგან არა ერთხელ წინეთაც უკვე გამოხსნილა ძლევა მოსილი რუსეთის იმპერატორის ჯარების იარაღით, ეგრეთვე ეხლაც და ყოველთვისაც განშორებულ იქმნებიან საქართველოს ცუდის მოსურნეთა ყველა მავნებელი ბოროტ-განზრახვათაგან, მისთვის რომ ამას თხოულობს მისი იმპერატორებითი დიდებულების ღირსება და ძლიერება, ეხლაც არ გადუდგებიან ამა მტკიცე საუკუნოდ მიღებულ წესს, თუმცა გარეშე სარჩლები, მგზავსადვე როგორც საგანი თქვენგან გაგზავნილი ელჩი თავადის ჯაფარიძის მისსიისა ამ სახით შეტყობილი აქვს მისს იმპერატორებითი დიდებულებას. სხვა, რაც შეეხება იმ საუფლისწულო მამულებს, რომლებიც ეკუთვნიან იმერეთში მყოფთ უბრწყინვალესს უფლისწულებთ, ისინი დაცულ იქმნებიან მათთვის უმაღლესის მანიფესტის საფუძვლით, რომელიც თქვენს დიდებულებას და მათაც შეტყობილი აქვსთ.

### გენ. მ. ლაზარიევის რაპორტი გენ. ლ. კნორრინგისადმი, 22-ს ივნისიდგან 1802-ს წ. № 284.

უ. პოდპოლ. სიმონოვიჩი მომახსენებს, რომ ხეფინიხევის თემის სოფლების: ხუნევის, ბაჟინევის და პერტყვილის მცხოვრებლებმა, შეიტყვეს თუ არა ამბავი, რომ ისინი ყოფილან იმერელი თავადის აბაშიძე ფინეიშვილის მფლობელობაში, მაშინვე გაიქცნენ ტყეში იმ მიზნით, რომ ახალ-ციხეში გადავიდნენ.

### კიდევ დ. ს. ს. კოვალენსკის რაპორტი გენ. ლ. კნორრინგისადმი, 28-ს ივნისიდგან 1802-ს წ. № 592.

ხეფინიხევის სამი სოფლის მცხოვრებლები შემოდიან ჩემთან თხოვნით, რომ ისინი წინეთ ეკუთვნოდნენ საქართველოს საბრძანებელს, ეხლა, საქართველოს და იმერეთს შუა ძველად დადგენილი საზღვართა წინააღმდეგ, რგებიან იმერეთის მეფეს ქვეშევრდომებად, და რადგან არ სურთ იყონ თვისდამი შეუსაბამო მდგომარეობაში, არამედ აქვთ სურვილი გორის მაზრაში გადმოსახლებისა, ამიტომ თხოულობენ გადმოსახლების ნებას. მე, თუმცა არ მაქვს მოწერილობა უარის თქმისა ეგეთების მიღებაზედ, არამედ წინააღმდეგ ამისა, ვპოულობ რა უმაღლესად გარდმოცემულ წესებში ამ საგანზე წაქეზებას საქართველოში გადმოსახლებისათვის საზღვარ გარეთიდგან გადმოსულთა, მხოლოდ ფრთხილად განსჯით კი ოსმალეთის პორტის საბრძანებელისა, რომ ამით არ შეირყეს კეთილ-თანხმობა და მეგობრობა, რომელიც არსებობენ ამ სახელმწიფოსთან, თუმცა ეს წესები დავადგინე სახელმძღვანელოდ გორის მაზრაში კაპ. ისპრავნიკის თანამდებობის აღმასრულებისათვისაც, მაგრამ შემდგომ ამისა საჭიროდ ჩავრიცხე შენიშვნა სიფრთხილისათვის აწ მყოფ შემთხვევათა, რომ არ მიეცეს იმერეთის მეფეს გაორგულების მიზეზი ამ მეფის ქვეშევრდომებს ეგეთი მიღებით, კვლავ თავი შევიკავე ახალ ნება დართვამდის და მოხსენებულ მთხოვნელთაგან მხოლოდ ისინი იქმნენ მიღებულნი, რომლებიც დევნილ არიან სისხლის ან შურის ძიების გამო და ჩვენ გვთხოვენ თავის საფარს. აქვე საჭიროდ ვრაცხ წარმოუდგინო თქვენ აღმატებულებას, რომ როგორც ქსნის თავადი გიორგი ამილახვარი, ზემო ხსენებული, ეხლა დაბრუნებული ხეფინისხევის თემის სამი სოფელი, არაოდეს არ ყოფილან იმერეთისადმი კუთვნილი და ეს მტკიცდება, გარდა წერილობითი საბუთებისა, რომლებიც მას შეუძლია მოძებნოს, კიდევ ორთა სახელმწიფოთა შუა ეკკლესიაში დადგმული ნიშნით, რომელიც არის აშენებული ამ სოფლის აქეთა მხარეზედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გენ. ლ. კნორრინგის მოწერილობა გენ. მ. ლაზარიევისადმი, 30-ს ივნისიდგან 1802-ს წ. გეორგიევსკი.

ამ დღეებში მე გავგზავნე იმერეთში დიგორის ოსეთის მაზრით სახელმწიფო უცხო ქვეყნებთა საქმეების კოლლეგიაში მოსამსახურე უ. კოლლეჟსკი სოვეტნიკი სოკოლოვი თარჯიმანი კოლლეჟსკი ასესორი იაკოვლევით, რომელსაც აქვს მისი იმპერატორებითი დიდებულების სიგელი (გრამოტა) იმერეთის მეფისადმი იმერეთის დედოფლის ანნა მათეს ასულის ძის, რომელიც ციხეშია დატყვევებული, განთავისუფლებისა და რუსეთში გაშვების თაობაზედ. თუ ვინიცობაა, ამ საქმეს წარმატება ექნა, რაზედაც მე ეჭვი არა მაქვს, ჩემ მიერ ჩაბარებული აქ მას, უ. სოკოლოვს ღია წერილით საქართველოში დაბანაკებულთ ჯარებისადმი მოწერილობა, ვსთხოვ რა თქვენს აღმატებულებას გააძლიეროთ მშვიდობიანი სახით სურამში მყოფი მხედრობა, რომ უ. სოკოლოვის პირველივე ნაბიჯზედ საქართველოში მან ნახოს იქ ძლიერი ცხენოსანი ჯარი, რომლითაც საქართველოში მთელი მოგზაურობის დროს ვალდებულ იქმნებით ხელი მოუმართოთ, როდესაც ის უკუნ იქცევა სამზღვარზედ (на линію დარაჯზედ), მაშინ, მივიღებ თუ არა თქვენგან ან მისგან ცნობას, ვლადიკავკაზიდგან შევხვდები მას კავკასიის მთების ხეობებში სამხედრო დეტაშამენტით. საზოგადოთ კეთილ-ინებეთ, თქვენო აღმატებულებავ, ეცადოთ, რომ წარმატება მისცეთ უმაღლეს მინდობილებას, რომელიც ვალად ადევს უ. სოკოლოვს.

რაპორტი დ. ს. ს. კოვალენსკისა გენ. ლ. კნორინგისადმი, 4-ს ივლისიდგან 1802-ს წ.

იმერეთის მეფე სოლომონმა და მასთან მცხოვრებთ საქართველოს მეფისწულებმა იულონმა და ფარნაოზმა გამოგზავნეს აქ, თქვენს უაღმატებულებასთან, იმ იმედით, რომ მოესწროთ თქვენთვის აქ, იგივე მოსამსახურე თავადი სოლომონ ლეონიძე, რომელიც აზრდილია აწ უკვე გარდაცვალებული ირაკლი მეფესთან და მთელი თვისი მეფობის დროს განმავალობაში წარჩინებულად მოხმარებული ყოლია, ეხლა კი წართმევია რა აქ ყოველივე მეფე გიორგის დროსვე, გადასულა იმერეთში, და რომლის ღირსებაზედაც მე პატივით მოვახსენე პირადად თქვენს უაღმატებულესობას, რის შესახებაც მე მქონდა თქვენი ბრძანება—მიმეცა ნება მისთვის აქ მოსვლისა თავისი შვილების სანახავათ. ამ გამოგზავნილმა მომიტანა მე მეფიდგან და მეფისწულებიდგან წერილები, რომლებშიდაც სალამთან ერთად გამოხატულია, რომ ისინი დასამტკიცებლად მათი ერთგულებისა და რუსეთის მომხრეობისა, გამოგზავნეს რა თქვენს უაღმატებულესობასთან და ჩემთან პირები ფირმანისა, რომელიც გამოგზავნილია მათთან სპარსეთის მფლობელის ბაბა-ხანისაგან, მიუნდვიათ რა სრული უფლება თვის გარდაწყვეტილებაში ამ წარმოგზავნილი თავადი ლეონიძისათვის, თხოულობენ, რომ ჩემი შუამავლობით არ დაანარჩუნოთ ის თქვენს უაღმატებულესობასთან: ამ წარმოგზავნილის სიტყვები, აღსნილი ჩემთან დიდ საიდუმლოთ, მდგომარეობენ იმაში, რომ მიუღია რა მას მონაწილეობა საქართველოსთან პირობის შედგენაში 1783-ს წელში და შემდეგშიაც მეფე ირაკლის დროს უმაღლესისა მსახურის სარგებლობის მომხრე ყოფილა. ახლაც აღვსილია ეგეთივე ერთგულებით რუსეთის იმპერიისადმი და ამიტომ ის თავს დებულობს მეფე სოლომონის იქამდი მიყვანას, რომ ის ყველა თავის სამფლობელოებს, რომელშიდაც ახლა დამკვიდრდა პორტის ყოველივე დამოუკიდებლად, შეიყვანს მის იმპერატორებითი დიდებულების უმაღლეს მფლობელობაში საქართველოსთან შესაერთებლად, მხოლოდ იმ ერთად-ერთი პირობით, რომ მას სიკვდილამდი არ ჩამოერთვას პატივი და სახელი მეფისა და ამის მეტს სარჩლობას არ ამცხადებს, რადგან უშვილოა, თუმცა ჩვენის მხრით იმედი იქნებოდა ამ საქმის წარმატებისა, მეფე დაუყოვნებლივ გამოვზავნიდა მას, თავად ლეონიძეს, სრული უფლებით ამ საქმის შესახებ მისს იმპერატორებითი დიდებულების სასახლეში, ანუ სადაც კეთილ-ინებებდნენ. დასკვნა ამ სიტყვებისა მდგომარეობენ იმ სარგებლობაში, რომელიც მოსალოდნელია ეგეთი შეერთებიდგან და რომლებსაც, ყველა დამოკიდებულებით, ძლიერ რიგიანად და პოლიტიკური შეხედულობით სჭვრეტს ის, თავადი ლეონიძე; მე შესაფერად ვაგე პასუხი წერილებზედ და სიტყვებზედ, და ყველა ისინი მოვართვი თქვენს უაღმატებულესობას საყურადღებოთ და განსასჯელად; თხოვნისა გამო იმა თავადი ლეონიძისა, მე მივეცი მას ნება აქ თავის ოჯახში დარჩენისა არა უმეტეს ერთი კვირისა.

(გაგრძელება იქნება).

ეროვნული ბიბლიოთეკა





წმიდა ნინო საქართველოს განმანათლებელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ცხოვრების აღწერა

## წმიდა მოციქულთ-სწორისა ნინოსი,

### საქართველოს განმანათლებელისა.

საქართველო, ანუ ივერია, როგორც ვიცით აღმოსავლეთის მართლ-მადიდებელი ეკკლესიის ზეპირ გარდმოცემით, ხვდა წილად ყოვლად წმიდა ღვთის-მშობელს, რომელსაც მხოლოდ და არა სხვა ვინმეს უნდა გაევრცელებია ამ ქვეყანაში მაცხოვარებითი სწავლა თავის ძისა, უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი.

ამაზე ასე მოგვითხრობს წმიდა სტეფანე მთაწმიდელი. უფალი ჩვენი იესო ქრისტეს ზეცად ამაღლების შემდეგ, მისი მოწაფენი და მარიამ ღვთის-მშობელი განუშორებლად იმყოფებოდენ, უფლის ბრძანებისა მებრ, სიონის ერთ ოთახში და ელოდენ აღთქმულ ნუგეშინის-მცემელს. მათ ჰყარეს წილი, თუ რომელ მათგანს რომელ ქვეყანაში უნდა ექადაგა სიტყვა ღვთისა. ყოვლად წმიდა ღვთის-მშობელმა განაცხადა, რომ მასაც სურს მიიღოს მონაწილეობა წილის ყრაში, რადგან მასაც სურს, ჰქონდეს დანიშნული რომელიმე მხარე, რომელსაც უჩვენებს მას უფალი ღმერთი. ღვთის-მშობელს წილად ხვდა ივერია. მან სიხარულით მიიღო ეს მისდამი წილხდომილი ქვეყანა, და როდესაც მოწაფეებზე გარდმოვიდა სული წმიდა, ღვთის-მშობელს მაშინვე უნდოდა წასვლა საქართველოში, მაგრამ ანგელოზმა აუწყა მას, რომ ის არ გაშორებოდა იერუსალიმს, არამედ დარჩენილიყო იქ ერთ დრომდე; ანგელოზმა აუწყა მას აგრეთვე, რომ ის ქვეყანა, რომელიც მას წილად ხვდა, განათლდება ქრისტეს სწავლით შემდეგ და იქნება მისი სამფლობელო. ასე მოგვითხრობს წმიდა სტეფანე. ღვთის ამ გვარი განგებულება საქართველოს გაქრისტიანებაზე აღსრულდა, როცა ქრისტეს ზეცად ამაღლების შემდეგ გაიარა სამმა საუკუნემ. ამ ღვთის განგებულების აღმასრულებელი იყო თვით ყოვლად კურთხეული ღვთის მშობელი, რომელმაც გაგზავნა საქართველოში საქადაგებლად თავისი ლოცვა კურთხევით წმიდა ქალწული ნინა. *)

წმიდა ნინო, შთამომავლობით კაპადოკიელი, იყო სახელოვანი და კეთილი მშობლების ქალი. მამა მისი ზაბულონი იყო რომის ჯარისა წინამძღოლი, ნათესავად სხვდებოდა წმ. მთავარ მოწამეს გიორგის. დედა ნინოსი სუსანა იყო და იერუსალიმის პატრიარქის იობენალისა. როცა ნინო შეიქნა თორმეტის წლისა, თავის მშობლებით მოვიდა ქალაქს იერუსალიმში. აქ ნინოს მამამ ზაბულონმა მოინდომა ბერად შედგომა. მან მიიღო ამაზე ნება-რთვა თავის ცოლისაგან და ლოცვა კურთხევა იერუსალიმის პატრიარქისაგან და წავიდა უდაბნოში და დაიმალა იქ. დღესაც არავინ უწყის ზაბულონის საცხოვრებელი ადგილი და არც მისი სასაფლაო. როცა ზაბულონი გამოეთხოვა თავის ქალს, მიიკრა ის გულზე და მთლად დაასველა ცრემლებით, რომელნიც მამის თვალთაგან ნაკადულივით გადმოდიოდენ და უთხრა თავის ქალს: «ასულო ჩემო, გტოვებ ობლად ზეციური მამის ანაბარად, რომელი არს მამა ობოლთა და მოწყალე ქვრივთა და ნუ გეშინის შენ». ნინოს დედა სუსანა პატრიარქმა დააყენა

*) უწინდელი ზეპირ-გადმოცემით ვიცით, რომ საქართველოს სამზღვრებში (რომელშიდაც შედიოდა: კახეთი, ქართლი, იმერეთი, გურია, სამეგრელო, აფხაზეთი, სვანეთი, ნაწილი ოსეთისა და დაღესტანი), განსაკუთრებით შავი ზღვის აღმოსავლეთის ნაპირებში იყვნენ ქრისტიანები წმ. ნინომდისაც, თუმც აქ ქრისტიანების რიცხვი იყო ძალიან მცირე. პირველად ქრისტე მაცხოვრის სწავლა მოჰფინა კავკასიას პირველ-წოდებულმა მოციქულმა ანდრიამ, რომელმაც შემდეგ მოჰფინა ქრისტეს სწავლა კიევის მთებზეა. ეს ზეპირ გარდმოცემა, რომელიც დაწერილია საქართველოს მატიანეებში და რომელიც ეთანხმება თთვეთა საგალობელ სვინაქსარს (30 ნოემბრისას), ამტკიცებს, რომ მოციქულმა ანდრიამ იქადაგა ქრისტეს სწავლა კლარჯეთში, რომელიც სძევს სამხრეთ-დასავლეთით ახალციხიდამ, აწყვერში, რომელიც დღეს სოფელია, სახელად აწყვერი, ბორჯომის ხეობის შესავალში, ჰქადაგებდა ქრისტეს სწავლას ცხუმში, რომელიც დღეს ქალაქია, სახელ-წოდებული სუხუმ-კალედ. აფხაზეთში, სამეგრელოში და ჩრდილოეთოსეთში, აცხურში მოციქულმა ააშენა ეკკლესია და დასტოვა იქ სასწაულთ-მოქმედი ღვთის-მშობლის ხატი, რომელსაც დიდს პატივსა სცემდენ ყოველთვის არა მარტო ქრისტიანები, არამედ ურჯულონი მთიულნიც. ეს ხატი დღემდისაც გელათის მონასტერშია დასვენებული და უწოდებენ აცხურის ღვთის-მშობლის ხატს, ანდრია მოციქულის თანა მოგზაურმა სიმონ კანანიტმა უქადაგა ქრისტეს სწავლა სვანებსაც, რომელიც სიმონ კანანიტელი ქვით ჩაჰქოლეს! მისი სასაფლაო, როგორც ადგილობითი ზეპირ-გადმოცემა მოგვითხრობს, იმყოფება ახალ ათონში, სიმონ კანანიტის მონასტერში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წმ. ტაძარში ღლახაკთა და უძლურთა მომვლელად, ნინო მიაბარა პატრიარქმა აღსაზრდელად ერთ მართლმორწმუნე მოხუცებულ ქალს ნიაფორასა. წმიდა ქალწული ისეთი ბეჯითი და აზრიანი იყო, რომ ორი წლის შემდეგ, ღვთის მადლის შემწეობით. ის მტკიცედ ასრულებდა სარწმუნოების და კეთილცხოვრების ყოველივე მოთხოვნილებას. მთელ დღე და ღამეს წმ. ნინო ატარებდა ღვთის ვედრებაში და ერთგულად სწავლობდა საღმრთო წერილს. რაც უფრო სწავლობდა სამღვთო წერილს, იმდენად უფრო ძრიელდებოდა ნინოს გულში სიყვარული იესო ქრისტესი, რომელმაც კაცთა ნათესავისათვის დაითმინა ყოველივე ვნება და ჯვარცმა. ერთხელ, ნინო კითხულობდა სახარების მოთხრობას იესო ქრისტის ჯვარცმაზე. წაიკითხა თუ არა ეს ადგილი სახარებაში, ნინომ დაიწყო ფიქრი უფლის კვართზე და მოინდომა შეტყობა, თუ სად იყო შენახული ეს სამკაული. ნინომ ჰკითხა თავის აღმზრდელს: «სად არის ეხლა კვართი უფლისა? არ შეიძლება, დაუმატა ნინომ, რომ ეს სამკაული დაკარგულიყო“. ნიაფორამ, რაც კი იცოდა ზეპირ გადმოცემით კვართის შესახებ, უამბო ნინოს. «ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისკენ იერუსალიმიდამ, დაიწყო ნიაფორამ, არის ერთი მხარე, რომელსაც ივერიას ეძახიან. ამ ქვეყანაში არის ქალაქი მცხეთა და აი ამ ქალაქში არის წაღებული კვართი უფლისა. ეს კვართი წაიღო იქ მხედარმა, რომელსაც ის წილად ხვდა იესო ქრისტის ჯვარცმის დროს. იმ ქვეყნის მცხოვრებნი, დაუმატა ნიაფორამ, რომლებიც ქართველებად იწოდებიან და მათი მეზობელი სომეხნი და ბევრი მთიულები დღემდისაც კერპთ-თაყვანის მცემელნი არიან». ნიაფორას ნაამბობმა ისეთი ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ნინას გულში, რომ ამის შემდეგ ნინო დღე და ღამე მხურვალე ცრემლით ევედრებოდა ღვთის მშობელს მარიამს, რომ მისი შემწეობით ის ღირსებოდა ამ ქვეყნის ხილვას, რათა მას ენახა და დაეკოცნა კვართი უფლისა, რომელიც თვით ღვთის მშობლის ხელით იყო მოქსოვილი. მასთან ევედრებოდა ნინო ღვთის-მშობელს, რომ მას მიეცა მისთვის ძალა და სიმხნე, რომ მას ამ ქვეყანაში მოეფინა ქრისტეს სწავლა. ყოვლად კურთხეულმა ღვთის მშობელმა შეისმინა ვედრება წმ. ნინოსი, გამოეცხადა მას და უთხრა: ,,წადი ივერიაში და უქადაგე სახარება უფლისა იესო ქრისტესი, რომლის მადლი იქნება შენდა. მეც შენი შემწე და მფარველი ვიქნები.‘‘ ამაზე წმ. ნინომ მიუგო ღვთის მშობელს: ,,განა შევსძლებ მე ამ დიდი მოვალეობის შესრულებას? განა ეს შესაძლებელია ჩემისთანა უღონო ქალისაგან?‘‘ ყოვლად წმ. ღვთის მშობელმა მისცა ნინოს ვაზის ტოტებისაგან გაკეთებული ჯვარი და უთხრა: „წაიღე ეს ჯვარი, ეს იქნება შენი მფარველი ყოველვე ხილულ და უხილავ მტერთაგან და ამ ჯვარის მადლით შენ იმ ქვეყანაში მოჰფენ მაცხოვარებით სწავლას ჩემი საყვარელი ძისა და უფლისა, რომელსაც სურს ყოველი კაცის ცხოვნება.

(შემდეგი იქნება).

---

# მოძღვრება

## სახარების ცხრა ნეტარებაზედ.

პირველი მოძღვრება, თქმული ქაშვეთის ეკკლესიაში მეზვერისა და ფარისევლის კვირიაკესა, 25 იანვარს, 1887 წელსა.

«ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა (მათ. 5, 3).

ქრისტეს მადიდებელნო ერნო! დღევანდელი დღის სახარება მოგვითხრობს ერთ მრავალ მნიშვნელოვანს იგავს, რომელიც მაცხოვარმან უთხრა ერთხელ თავის მსმენელთა. ეს იგავი მდგომარეობს შემდეგში: ორი კაცი შევიდა ღვთის ტაძარში სალოცავად, ერთი იყო ფარისეველი, ხოლო მეორე—მეზვერე. ფარისეველი მედიდურად წადგა წინ და ლოცულობდა ხმა მაღლა: „გმადლობ შენ, უფალო, რომ ისეთი არა ვარ, როგორც სხვები,—მტაცებელნი, მოჩხუბარნი, მრუშნი, ანუ მაგალითებრ როგორც აი ეს მეზვერე, კვირაში ორჯელ ვმარხულობ და ვიხდი მის მეათედს, რასაც ვშოვობ“. ხოლო მეზვერე იგი, მგრძნობელი თვისთა ცოდვათა, თავდაბლად იდგა უკან და ვერ ბედავდა თვალის ახილვასაც კი ზეცისადმი, გულზედ ხელს იცემდა და ესრეთ ამბობდა: «ღმერთო, მილხინე ცოდვილსა ამას და შემიწყალე მე უფალო! ამინ გეტყვი თქვენო, ბრძანა დასასრულ იგავისა უფალმან, რომ ამ უკანასკნელის ლოცვა კი შეისმინა ღმერთმა და პირველისა კი უარ ჰყოვო.

ძვირფასო გონიერო მეგობარო! აბა კარგა და პირუთნეველად დაუფიქრდი შენ თავს და გულწრფელად სთქვი,—არ იცნობ შენს თავს ამ ფარისეველში? ჩვენ ყველანი, ძმანო, მადლითა ღვთისათა ვართ ქრისტიანენი. მაგრამ, სამწუხაროდ, ეხლანდელ დროში ისე დაეცა ჩვენში ქრისტიანობის შეგნება, რომ მრავალნი ჩვენგანნი,—თუ ყველანი არა,—მარტო სახელითღა ვართ ქრისტიანენი და თუ ვასრულებთ რასმეს საქმით,—ვასრულებთ მარტო გარეგან ეკკლესიის წესთა და ჩვეულებათა და დარწმუნებულნი ვართ, რომ ამითი ისე დიდათ ვასიამოვნებთ ჩვენ გამჩენს, რომ სხვა აღარაფერს არა ვთვლით საჭიროთ, რომ ვირიცხებოდეთ ღვთის მცნების მტკიცე აღმასრულე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელად, რაღასაც ვმედიდურობთ და გვგონია, დღევანდელი სახარების ფარისეველსავით, რომ ჩვენზედ უკეთესი აღარავინ არის. არა, ძმანო. ასეთი ჩვენი ქრისტიანობა ფუჭი და უმნიშვნელოა. თუ გვინდა, რომ ნამდვილი ქრისტეს მოწაფენი შევიქნეთ, ჩვენ უნდა მთლად შევიცვალოთ ჩვენი შეხედულობა როგორც ჩვენს თავზედ, ისე თვით ქრისტეს მოძღვრებაზედ.

კაცობრიობა, ძმანო, შემდეგ ცოდვისა ისე დაუძლურდა, ისეთ ნაირათ დაეცა, ისე ღრმად ჩაეფლო უსჯულოებათა მორევში, რომ თავის თავად აღარ შეეძლო სულიერად აღდგომა. კაცობრიობა თუმცა ბევრს ცდილობდა, რომ თავის თავად, თავის საშუალებითვე წარმომდგარიყო ფეხზედ და თავის თავი გამოეხსნა ცოდვათა მონებისაგან, მაგრამ იგი ვერას გახდა და ბოლოს დროს დარწმუნდა, რომ მას აღარა ეშველება რა, თუ თვით ყოვლად შემძლებელმა ღმერთმა არ გამოაჩინა მასზედ თვისი სახიერება. აი, ძმანო, როდესაც კაცთა ნათესავი ღრმად დარწმუნდა ამ თავის სიუძლურეში, ამ თავის „სულით გლახაკობაში“ და, შემდეგ რამდენიმე საუკუნოების, თვით მეცადინეობისა, საბოლოოდ გადაწყვიტა, რომ იგი თავითავს აღარას უშველის, თუ რაიმე ზეციურმა სასწაულმა არ გამოაჩინა მას ზედა თვისი განმაცხოველებელი მოქმედება, — აი მაშინ, ქრისტიანენო, მოევლინა კაცთა ნათესავსა «ზეციური ექიმი» და თავისი მადლით და შემწეობით განკურნა ცოდვით განხრწნილი კაცის ბუნება. ღმერთმან მაშინ უშველა კაცს, როდესაც თვით კაცმა იგრძნო თვისი გაჭირება და სიუძლურე და საჭიროდ დაინახა შველა ყოვლად შემძლებელისა.

მაშასადამე ქრისტიანობა პირველად იმას გვასწავებს, ძმანო, რომ კაცს მაშინ და მხოლოდ მაშინ შეუძლიან იმედი ჰქონდეს, რომ მადლი ღვთისა გარდმოვა მასზედ, როდესაც იგი თავის თავში ჩაიხედავს და დარწმუნდება, რომ იგი მართლა ცოდვილია, უძლურია, სულით გლახაკია. რატომ არ შეისმინა, ძმანო, ღმერთმა ლოცვა ფარისეველისა? უპირველესად მიტომ, რომ იგი თავის თავისთვის არა სთვლიდა ღვთის მადლს საჭიროდ; სავსე ამ ამპარტავნებით და მედიდურობით, იგი ფიქრობდა, რომ მისთვის აღარაფერია საჭირო, რომ იგი თავის თავადვე სავსეა ყოველის კეთილითა. „გმადლობ შენ, უფალო, რომ მე ისეთი ცოდვილი არა ვარ, როგორც სხვებიო,“ — აი რას ამბობს იგი. რასაკვირველია ძმანო, რომ ამისთანა კაცს არ მიანიჭებს უფალი თავის უხვს მოწყალებას, რადგან თვითონვე ეს კაცი არ საჭიროებს მაში, დარწმუნებულია, რომ იგი უიმისოთაც მდიდარია ყველაფრით, მადლი ზეცისა, მოწყალება უფლისა გარდმოიცემა, მზგავსად მეზვერისა, მხოლოდ იმისთანა კაცზედ, რომელიც თვითონვე ღრმათ გრძნობს თავის სიუძლურეს, თავის სულის გლახაკობას და, მაშასადამე, სიღრმიდგან გულისა ევედრება ღმერთსა, რომ მან ყოვლად ძლიერმან და სახიერმან, შეიწყალოს იგი, მოხედოს მას მოწყალის თვალით და თავის ყოვლად შემძლებლობა გამოაჩინოს მას უძლურებაში. ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა, ბრძანებს ღვთაებრივი ჩვენი მოძღვარი, უფალი ჩვენი იესო ქრისტე. მაცხოვარი ამ მცნებით, ქრისტიანენო, პირ-და-პირ იმას გვაუწყებს, რომ მარტო იმათთვის არის აღთქმული სასუფეველი ღვთისა, რომელნიც თავის თავს სულით გლახაკად სთვლიან და ამიტომ მიმართვენ მხურვალე ლოცვით და ვედრებით ყოვლად სახიერსა.

ჩვენ ზეციერ მამას, ძმანო, თუმცა ყველა კაცის ცხოვნება სურს, მაგრამ ნუ დაივიწყებთ, ქრისტიანენო, იმასაც, რომ ეს ცხოვნება მოევლინება მარტო იმას, რომელსაც გულით სურს იგი და საქმით ილვწის მის მისაღწევად. ხოლო არას დროს ქრისტიანი ისე გულ-წრფელად და წყურვილით არ ლოცულობს ღმერთსა, ისე ძლიერად არ აფასებს ღვთის მოწყალებას და შეწევნას, ისე ღრმად არ გრძნობს ღვთისადმი სიყვარულს და მაშასადამე მზათ არის აღასრულოს ყოველივე მისი ნება, როგორც მაშინ, როდესაც იგი ცხადად ხედავს თავის თავს უძლურად და, — მაშასადამე, — გრძნობს, რომ თავის თავად, ღვთის შეუწევნელად, არ შეუძლიან მიაღწიოს მას, რაცა გულითა სურს და სჭირია. აიღეთ ის სნეული, რომელიც დარწმუნებულია, რომ მისი მორჩენა მარტო მის ექიმის ხელშია, რომ ამ ექიმის გარეშე ყოვლად შეუძლებელია მისი სიცოცხლე. რა გრძნობა უნდა დაებადოს ამ სნეულს ამ ექიმისადმი, რომელზედაც მისი დროებითი, ქვეყნიური სიცოცხლეა დამოკიდებული, — ამას ცხადივ წარმოიდგენს ყველა ჩვენგანი. აქედგან თვალ-საჩინოდ დავინახავთ, ძმანო, რა ძლიერი გრძნობა და ღრმა სიყვარული უნდა ჰქონდეს იმ კაცს, რომელიც გრძნობს თავის თავს სულიერად უძლურად და გლახაკად და რომელიც მარტო ღვთისაგან მოელის არა მარტო დროებით სიცოცხლეს, არამედ საუკუნო სასუფეველს. მხო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოდ ამისთანა კაცი შეიყვარებს ღმერთსა «ყოვლითა სულითა თვისით და ყოვლითა გონებითა თვისითა და ყოვლითა ძალითა თვისითა», და რა გასაკვირველია, რომ ღმერთიც ამისთანა კაცს შეიყვარებს და მასზედ მოჰფენს თვის მადლს და შეისმენს ყოველს მის ვედრებას და ლოცვას.

ეს ასე, აბა ახლა გავშინჯოთ, ძმანო, ამისთანა კაცის კავშირი თავის მოყვასისადმიცა.

ფარისეველი თვის ამპარტავნებაში ვერ ხედავს თავის თვალში დირეს და თავის მოყვასში კი ერთს მცირე ბეწვს დიდ მნიშვნელობას აძლევს და ჰკიცხავს. ამისთანა კაცის თვალში, ძმანო, ყოველი კეთილი განხორციელებულია მარტო მის პიროვნებაში, ხოლო დანარჩენნი ყველანი არიან წარმომადგენელნი მხოლოდ ბიწიერებისა, ცოდვისა და ყოველ-გვარი ნაკლულევანებისა, «გმადლობ შენ უფალო, რომ მე ისეთი არა ვარ, როგორც სხვები, მტაცებელნი, მოჩხუბარნი, მრუშნი, ანუ მაგალითებრ, როგორც აი ეს მეზვერე». აი ძმანო, ფარისევლის შეხედულობა სხვებზედ: იგი ზიზღით უცქერის ყველა თავის მოყვას და განკიცხავს, მეტი მის გრძნობაში არა დაიბადება რა. ძმური კავშირი სხვასთან, მოყვსის სიყვარული ამისთანა კაცისათვის უცხო და უცნობი გრძნობა რამ არის.

სულ სხვა არის, ძმანო, ის კაცი, რომელსაც მაცხოვარი უწოდებს „სულით გლახაკს. Ისე არას დროს არ შევტკივა გული სხვისათვის, ისე არას დროს არა ვართ თავდადებული, რომ გამოვიჩინოთ რაიმე შემწეობა ჩვენ მოყვასს მის გაჭირებაში, ისე არას დროს არა ვართ მხათ შევუნდოთ კაცსა მისი შეცოდებანი წინაშე ჩვენსა, როგორც მაშინ, როდესაც შეგნებული გვაქვს ცხადივ და ღრმათ ჩვენივე საკუთარი სიგლახაკე, შეუძლებლობა და გაჭირება. ამ შემთხვევაში ჩვენ თავზედ გვაქვს გამოცდილი ჩვენივე ნაკლულევანებანი და შეცოდებანი, და ამიტომ სხვათა ნაკლულევანება განკიცხვას, დაცინვას და ზიზღის კი არა ბადამს ჩვენში, არამედ ბადამს სიბრალულს და გულის ტკივილს, და მზათ ვართ, რომ რითაც კი შეგვიძლიან დავეხმაროთ ჩვენ გაჭირებულ მოყვასს, გავასწოროთ მისი ნაკლი და ხელი მოუმართოთ ყველაფერში.

გარდა ამისა ეს სიყვარული „სულით გლახაკისა" თვისთა მოყვასთადმი, მით უმეტეს ძლიერდება, რომ მათში იგი ხედავს ამ თავის კეთილის მყოფელის და ხელთ აღმპყრობელის ზეციერი მამის შვილთა, რომლისათვისაც ეს უკანასკნელნი ისე ძვირფასნი არიან, რომ მათი გულისათვის მან არ დაზოგა მხოლოდ შობილი ძე თვისიც. მაშასადამე როგორც სიყვარული ღვთისადმი ღრმა არის ამისთანა კაცში, ისე ღრმა უნდა იყვეს მისი სიყვარული მათდამიც,—რომელნიც ღმერთს ასე ძვირფასად ულირან; „სულით გლახაკს" არამც თუ მარტო თავის ბუნებით უყვარს თავისი მოყვასი,—მას უყვარს იგი ღვთის გულისათვის, რადგან ღმერთს ეს მისი მოყვასი უყვარს. ამ სახით მისი სულიერი კავშირი ღვთისადმი გარდავა მასთა მოყვასთადმიცა.

აი ამ ნაირათ, ძმანო, შეგნება ჩვენი საკუთარი უძლურებისა, ჩვენი სულით სიგლახაკისა არის საფუძველი ყოვლისა კეთილისა: იგი ერთი ორად აძლიერებს ჩვენ ბუნებრივ სიყვარულს ღვთისადმი და მოყვასთადმი, მაშასადამე ესრეთი ჩვენი შეგნება არის ერთად ერთი გზა ღვთის სასუფეველისადმი, სადაც დამკვიდრდებიან მხოლოდ ღვთისა და კაცთ მოყვარენი; მაშასადამე ნეტარ არიან გლახაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა!

ამისათვის დავუტევოთ, ძმანო, ფარისევლური შეხედულობა ჩვენ თავზედ, ნუ ვმედიდურობთ ფარისეველსავით, არამედ მზგავსად თავ-დაბალი მეზვერისა თვითეულმა ჩვენგანმა წამოიდგინოს თავის სულით სიგლახაკე და მზგავსად იმავე მეზვერისა სიღრმიდგან გულისა შევევედროს ზეციერ მამას: „ღმერთო მილხინე ცოდვილსა ამას და შემიწყალე მე უფალო"— და ამასთან დარწმუნებული ვიყვნეთ, რომ იგი შეგვიწყალებს და გვაცხოვნებს ჩვენ, ვითარცა სახიერი არს და კაცთ მოყვარე". ამინ.

არქიმანდრიტი მაკარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ახალი ამბები და შენიშვნები.

„მართებლობის მოამბე“ გვაუწყებს, რომ ათს იანვარს ჰქონდა ბედნიერება მისი დიდებულების ხელმწიფე იმპერატორის ნახვისა საქართველოს ეგზარხოსს, არქიეპისკოპოსს პაველს.

* * *

საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორის წევრმა, არქიმანდრიტმა ნიკოლოზმა და ქაშვეთის წმიდის გიორგის ეკკლესიის მღვდელმა დავით ჭრელაშვილმა შეწირულებისათვის მიიღეს ლოცვა-კურთხევა უწმიდესი სინოდისაგან ჯეროვანის გრამმატის ბოძებით, 19 იანვრიდგან ამა წლისა.

* * *

გამოიცა უკაზი უწმიდესი სინოდისაგან, რომლის ძალითაც ეპარქიის მღვდელ-მთავრებს შეუძლიათ ნება დაურთველად სინოდისა გავიდნენ თავის ეპარქიის გარეშე საჭიროების დროს თოთხმეტი დღის ვადით, მაგრამ უნდა მოახსენონ ამაზედ უწმ. სინოდს შემდეგ ზედ დაძენით, თუ რა საჭიროებისათვის წავიდნენ ისინი თავის ეპარქიიდგან.

* * *

აფხაზეთის ეპისკოპოზი გენნადი, როგორც „მოსკოვის უწყებები“ გვაცნობებს, რომ თერთმეტს თებერვალს სევასტოპოლიდამ გამომგზავრებულა აფხაზეთში.

ჩვენ შევიტყვეთ, რომ ყოვლად სამღვდელო გენნადი კიდეც მობრძანებულა სოხუმში და იქიდგან პირ-და-პირ წაბრძანებულა ახალი ათონის მონასტერში, სადაც იმყოფება დღეს.

* * *

ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი გენერალ-ლეიტენანტი სმეკალოვი ტერსკის სამფლობელოში დაუნიშნავთ გუბერნატორად და ნაკაზნი ატამანად.

* * *

რუსეთის მრავალ ეპარქიებში და გაზეთებშიაც აღძრულია კითხვა მედავითნეთა პენსიის დანიშვნაზე. მრავალი მედავითნენი მართლაც საცოდავ მდგომარეობაში არიან მოხუცებულობის დროს. მართლა, რა დააშავეს მედავითნეთა, რომ მათ მოხუცებულობის დროს არავითარი შემწეობა არსაიდგან არ ეძლევათ, როდესაც ზოგიერთი მათგანი ერთგულად ემსახურებიან ეკკლესიას და მრევლს?

* * *

„მართებლობის მოამბე“-ში დაბეჭდილია, რომ ხოლერა უახლოვდება რუსეთის დასავლეთის სამზღვრებს. ვენგრიაში ამას წინათ ცამეტ ალაგას გაჩენილა ხოლერა. ამისათვის ყოველივე ღონეს ხმარობენ, რომ რუსეთში ხოლერა არ შემოიტანონ.

* * *

თებერვლის 10-11 რიცხვებში სურამის ქედზე მიმავალი საქონლის მატარებელი გზაზე ჩამოშვავებულ მიწას დაეტაკა და ოთხი ვაგონი დაიმსხვრა. ერთი კონდუკტორი მოკვდა და ერთიც მძიმეთ დაიჭრა. სხვაები გადაცვივნულიყვნენ ვაგონებიდამ და გადარჩენილიყვნენ.

* * *

ზოგიერთი ბლაღოჩინების საქციელი სწორეთ გასაოცარია. რამდენჯერ იყო გამოცხადებული, რომ ღვთის-მშობლის ძმობის წიგნაკების ფასი წარედგინათ სადაც ჯერ იყო. ჩვენ მრავალ ჯერ გამოვაცხადეთ, თუ სად უნდა წარედგინათ ეს ფულები და როდის. დღეს კიდევ ვტყობულობთ ძმობის რჩევის თავმჯდომარის დეკანოზის ე. ელიევისაგან, რომ იმერეთის და სამეგრელოს ეპარქიის ბევრს ბლაღოჩინებისაგან კიდევ არ არის გაწმენდილი ანგარიშით და ითხოვს, რომ ვისაც ჯერეთ არ წარუდგენია წიგნაკების ფული, წარადგინონ დროზე.

* * *

სოფლის ბზვანის (ქუთაისის მაზრაშია) მღვდელზე ჩვენ ბევრს კარგს ამბავს გვწერენ. აი, მაგალითად,

რას იწერება კორრესპონდენტი: «მრევლი ძალიან ემადლიელება მ. საბაშვილს და ის ღირსიც არის ამისი: ამ სულიერმა მამამ თავისი შრომით და მეცადინეობით გაამშვენა ეკკლესია. დიდი შრომა და ჯაფა გამოიჩინა სოფლის სკოლის შესახებაც. მაგრამ, როგორც ყველგან, ისე აქაც აღმოუჩნდა ამ მოძღვარს ორიოდე მტერი, რომელნიც მოსვენებას არ აძლევდენ მას. რამდენი საჩივარი გზავნეს მასზე, მაგრამ მამა მოძღვარი ყოველთვის გამართლებული რჩებოდა და ეს უფრო აბრაზებდა მის მტრებს, რომლებმაც იქამდის აიძულეს ეს სულიერი მამა, რომ მან სთხოვა ყოვლად სამღვდელოს სხვა სამრევლოში გადაყვანა და მთავრობამაც გადიყვანა ის სხვა სამრევლოში.

***

გორის მაზრიდამ მღვდელი ერმალოზ ედილოვი გვწერს: „ამ მაზრაში არის ერთი პატარა სოფელი თაბრაშენი. ეს სოფელი ეკუთვნის ცერონისის საზოგადოებას და არის მიწერილი ავლევის სამრევლოზე. ამ სოფელში სცხოვრობს ოც-და-ორი კომლი გლეხი, ერთი კომლი თავადი და ერთიც სამსახურიდგან გადამდგარი პატივცემული გენერალ-მაიორი, შთამომავლობით რუსი, ვასილი ივანეს ძე პოტებნია. ამ პირმა ძალიან დიდი ზედგავლენა მოახდინა აქაურს მცხოვრებლებზე თავისი კეთილი ცხოვრებით: ეს ხუთი წელიწადი იქნება, რაც ეს გენერალი სამსახურიდგან გამოსულა და ამ სოფელში სცხოვრებს მყუდროდ თავისი ცოლ-შვილით. ამ პატივცემულმა პირმა მოინდომა, რომ ამ სოფელში რამე სანახსოვრო და საუკუნოდ მოსახსენებელი დაეტოვებია. ამის შემთხვევაც მალე იშოვა. ამ სოფელს არა ჰქონდა თავისი საკუთარი ეკკლესია, რის გამო მცხოვრებლები მოკლებული იყვნენ ხშირად მართლ-მადიდებელი ალსარების წესებს. ამ გენერალმა თავის სასახლის სიახლოვეს ნახა ნაეკკლესიარი ადგილი და გამოუცხადა ამ სოფლელებს, რომ, თუ თქვენც ცოტა-ოდენს შემწეობას აღმომიჩენთ, საკუთარ ეკკლესიას ავაგებ ამ სოფელშიო. საზოგადოებამ და ამ სოფლის მღვდელმა დიდის აღტაცებით მიიღეს გენერლის განცხადება და შეუდგნენ ეკკლესიის შენებას. ეკკლესიის შენება გაათავეს 1885 წელს. ამ შენებაზე ამ გენერალმა თვისი პენსიიდგან დახარჯა 1300 მანეთი და ისე შრომა სხვა იყო. ამავე პირს განზრახვა აქვს დაარსოს თავის ხარჯით სასოფლო სკოლა ამ სოფელში, თუ ცოტა შემწეობას მცხოვრებელნიც აღმოუჩენენ. ღმერთმა ჰქნას, რომ ამ პატიო ან პირს ეს აზრი განეხორციელებიოს».

***

სოფელ თამოკინიდგან (სენაკის მაზრაშია) ჩვენა გვწერენ: «1844 წელს ამ სოფელში ავაშენეთ ეკკლესია, რომელიც 1865 წელს გასკდა. სოფლელებმა შეაკეთეს ეკკლესიის კედლები, მაგრამ ეკკლესიის შენობა მთლად დაიქცა 1883 წელში. მცხოვრებლები დაშთენ უეკკლესიოთ, რადგან ახალის აშენება თავის სიღარიბისა გამო მათ არ შეეძლოთ. მაგრამ დღეს ჩვენი მღვდლის წყალობით მშვენიერი ხის ეკკლესია ავიშენთ. მღვდელმა ადგილობითი სასულიერო მთავრობის ნება-რთვით შეჰკრიბა ეკკლესიის ასაშენებლად ფულები. მღვდელს ცოტა შემწეობა სამრევლომაც აღმოუჩინა. ეკკლესიის ალსაშენებელი ადგილი შესწირა თ. გიორგი მანუჩარის ძემ დგებუაძემ. როცა ეკკლესიის შენობა გათავდა, საზოგადოებამ მოიწვია ყოვლად სამღვდელო გრიგოლი, რომელმაც აკურთხა ეს ეკკლესია.“

მღვდლის მეცადინობას ბევრი რამ შეუძლია და მადლობის ღირსია სწორეთ ეს მღვდელიც და თ. გიორგი მ. დგებუაძეც. უწინდელ დროში თავადები და აზნაურები ძრიელ დიდ ყურადღებას აქცევდენ ეკკლესიების და მონასტრების გამშვენებას და თ. გ. მ. დგებუაძესაც მიუბაძავს ამ შემთხვევაში მამა-პაპებისათვის.

***

უწმ. სინოდს დაუნიშნავს თელავის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებლად თბილისის სემინარიის ინსპექტორის თანაშემწე ვ. ბარნოვი, ხოლო სამოქალაქო ისტორიის მასწავლებელი ამავე სემინარიისა ბ-ნი ი. მექანარი სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელში გადაუყვანია არითმეტიკისა და გეოგრაფიის მასწავლებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ მივიღეთ ბლაღოჩინის მღვდლის მამა ლუკა ჭიპაშვილისაგან შემდეგი წერილი:

„უმორჩილესად გთხოვთ მისცეთ ადგილი თქვენს პატივცემულ გაზეთ „მწყემს“-ში ჩემს ცოტაოდენს შენიშვნას: ტფილისის სასულიერო სემინარიის ღარიბ შაგირდების სასარგებლოდ ჩემს საბლაღოჩინოში შეიკრიბა წელს რვა მანეთი და 22 კაპიკი, რომელიც ოტნოშენიით 4-ის ამა ფებერვლის თვის რიცხვიდგან № 60 გაუგზავნე კიდეც სემინარიის წმიდა ანდრია მოციქულის ძმობას. ფული შემოსწირეს შემდეგმა პირებმა:

მღვ. ბესარიონ გოგსაძემ 60 კ., მღვ. სიმონ ჭუმბურიძემ 60 კ., მღვ. დარისპან ბარათაშვილმა 60 მღვ. მიხეილ ჭუმბურიძემ 60 კ., მღვ. გიორგი ფვერაძემ 60 კ., მღვ. ივლიანე აბესაძემ 60 კ., მღვდელმა იოანნე სალაძემ 60 კ., მღვდელმა სამსონ მხეიძემ 60 კ., მღვ. ვასილ ფერაძემ 60 კ., მღვ. ვენედიკტე გახიძემ 60 კ., მღვ. ქრისტეფორე საცერაძემ 60 კ., მღვ. ილარიონ მაჩიტაძემ 22 კ., მღვ. დავით მშვენიერაძემ 20 კ., მღვდელმა ლავრენტი ცქიტიშვილმა 20 კ. ჩემი დამატებული ფულიანად გახდა 8 მან. 22 კაპიკი.

***

ყველა სარწმუნოების მღვდლები, რომლებიც მიწოდებულ იქნებიან სამსაჯულოებში მოწმების დასაფიცებლად, მიიღებენ თითო მანეთს თვითეულ საქმეზე მიუხედავად დასაფიცებელ პირთა რაოდენობისა. ეს საჩუქარი ეძლევათ მღვდლებსა მაშინაც კი, როდესაც დაფიცება არ მოხდა, მაგრამ მღვდელი კი იყო ამისათვის მოწოდებული, ან იქავე იცდიდა.

***

მისმა ყოვლად უსამღვდელოესობამ გორის ეპისკოპოსმა ალექსანდრემ შესწირა 20,000 მანეთი შიომღვიმევის მონასტრის აღსადგენად. ერთ დროს ამ შესანიშნავი მონასტრის გაუქმებასაც ფიქრობდნენ, მაგრამ დღეს ყოვლად სამღვდელო ალექსანდრეს მეცადინობით და შეწირულებით ეს მონასტერი ისევ ახლდება. ახალი შტატით ამ მონასტერში უნდა იქმნენ ოთხი მღვდელ-მონაზონი და ოთხიც მორჩილი. გარდა ამ დიდი შეწირულებისა, ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე მეცადინობს, რომ მთლად განაახლოს ეს მონასტერი.


# განცხადება.

ისყიდებიან მღვ. დავით ღამბაშიძისაგან გამოცემული წიგნები:

ტფილისში: ზრიქურის წიგნის მაღაზიაში. ქუთაისში: ძმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. ყვირილაში: ყვირილის ნათლის-მცემლის ეკლესიის საეკლესიო ნივთების საწყობში და დ. ხონში წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

სახელდობრ:

## საქართველოს საეკლესიო ისტორია

ფასი უყდოთ—ცხრა შაური.

## ქართული ლოცვანი,

ფასი უყდოთ 30 კ. და ყდით 45 კ.

მღვდელთათვის საიდუმლოების შესრულების დროს საჭირო

## სახელმძღვანელო წიგნი,

ფასი ყდით ექვსი შაური.

ახალი სასულიერო კონსისტორიათა წესდებულება, ფასი ორი აბაზი.

## ახალი კარაბადინი,

ფასი ყდით ერთი მან.

ყვირილის საეკლესიო სანთლის საწყობში ისყიდებიან აგრეთვე ყოველ-გვარი საღმრთო საეკლესიო წიგნები და ნივთები და ყოველ გვარი სავალდო და საეკლესიო საბუთების ბლანკები.


შინაარსი: რიგია თუ არა, რომ მღვდელმა მიიღოს აღმსარებელისაგან ფული აღსარების თქმის დროს? — ბლად. საქმის წარმოების შესახებ. — წერილი რედაქტორთან. — როდის და ვინ შემოიღო ზარების ხმარება ეკლესიებში. — მეგრელთ სარწმუნოების აღწერა ფრანგულიდამ. — საისტორიო მასალა. — წმიდა ნინოს ცხოვრების აღწერილობა. — მოძღვრება. — ახალი ამბები და შენიშვნები. — განცხადებანი.

რედაქტორი და გამომცემელი მღვ. დ. ღამბაშიძე. *Доз. цензурою Кутаисъ, 26 февраля,* 1887 *г.*

მსწრაფლ-მბეჭდავი მღვ. დ. ღამბაშიძისა და კ. ი. ხელაძისა.